საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

N21/06/01 2024 წლის 21 ივნისი ქ.თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის შესარჩევი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის 11[1] პუნქტის შესაბამისად:

1. გამოცხადდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის შესარჩევი კონკურსი.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი შეირჩევა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პროფესორებისა და მკვლევრებისაგან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების ან/და საქართველოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარდგენილი პირებისაგან, შესაბამისი ორგანიზაციის კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ორგანიზაციები უფლებამოსილი არიან საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინონ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არა უმეტეს ერთი კანდიდატურისა.

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს უფლება აქვს წარადგინოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი,

თუ კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში მისი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი უნდა იყოს სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი და სარგებლობდეს მაღალი რეპუტაციით. საქართველოს პარლამენტის წევრის, მოსამართლისა და პროკურორის წარდგენა საბჭოს წევრობის კანდიდატად არ შეიძლება.

6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კანდიდატის წარდგენა შეიძლება კონკურსის გამოცხადებიდან ათი დღის ვადაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ათონელის ქ. N25, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

7. წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი ასახულია ამ განკარგულების N1 დანართში. წარდგინებას ასევე თან უნდა ახლდეს კანდიდატის მიერ შევსებული თვითშეფასების ფორმა (დანართი N2) და კანდიდატის წინასწარი თანხმობა (დანართი N3).

8. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის შერჩევასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტისათვის წინადადებების მომზადების მიზნით, შეიქმნას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის შესარჩევი კომისია (შემდეგში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

გურამ იმნაძე	-	ა(ა)იპ - სოციალური სამართლიანობის ცენტრის მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე
ქეთევან ერემაძე	-	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ბესიკ ლოლაძე	-	შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ" პროფესორი

ნონა ქურდოვანიძე	-	ა(ა)იპ - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე
თამარ ლალიაშვილი	-	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პროფესორი
გიორგი დავითური	-	ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის კანონის უზენაესობისა და მედიის თავისუფლების მიმართულების ხელმძღვანელი
ზურაბ ვარდიაშვილი	-	ონლაინგამოცემა „პუბლიკის" დირექტორი.

9. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

10. კანდიდატს უფლება აქვს დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვოს კომისიის შემადგენლობიდან ნებისმიერი წევრის აცილება, თუ არსებობს ინტერესთა შეუთავსებლობა, კერძოდ, გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის კომისიის ამ წევრის ობიექტურობას, დამოუკიდებლობას ან/და მიუკერძოებლობას. თუ კომისიის წევრი არის კანდიდატის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავი, და, ძმა, მშობლის ან შვილის გერი, მეუღლის და, ძმა ან მშობელი, იგი არ მონაწილეობს კონკურსის პროცედურაში.

11. ინტერესთა შეუთავსებლობის არსებობის შემთხვევაში კომისიის წევრი ვალდებულია წინასწარ განაცხადოს თვითაცილების შესახებ.

12. კომისიის წევრის აცილების/თვითაცილების საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია. კენჭისყრაში არ მონაწილეობს კომისიის ის წევრი, რომლის აცილების/თვითაცილების საკითხიც განიხილება.

13. კომისიის სხდომები შესაძლებელია წარიმართოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.

14. კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია კანდიდატს დამატებით ეთხოვოს საჭირო დოკუმენტის წარმოდგენა კომისიის მიერ

დადგენილ ვადაში.

15. კანდიდატებთან გასაუბრება ტარდება კომისიის გადაწყვეტილებით. გასაუბრება საჯაროა.

16. კომისიის მიერ კანდიდატის შერჩევის პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელიც ამ განკარგულებით არ არის გათვალისწინებული, გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

17. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია პროფესიული კვალიფიკაცია და მაღალი რეპუტაცია.

18. კომისიის საქმიანობის შედეგები აისახება შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც მიეთითება კომისიის დასაბუთებული შეფასება გასაუბრების პროცესში მონაწილე კანდიდატებთან დაკავშირებით. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. კომისიის წევრს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რომელიც აისახება ოქმში.

19. კონკურსის ჩატარების ტექნიკურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას განახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

№1

სალომე ზურაბიშვილი

საქართველოს პრეზიდენტის

2024 წლის 21 ივნისის

N21/06/01 განკარგულების

დანართი N1

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად პირის რეგისტრაციისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

ა) წარდგინება;

ბ) კანდიდატის ერთი ფოტოსურათი;

გ) დეტალური ბიოგრაფია ქართულ ენაზე, რომელიც მოიცავს სრულ პროფესიულ კარიერას (სამუშაო გამოცდილებაში ზუსტი თარიღებისა და უშუალო ხელმძღვანელ(ებ)ის მითითებით), მათ შორის, აკადემიურ საქმიანობას (გამოქვეყნებული პუბლიკაციებისა და ნაშრომების ჩამონათვალი, არსებობის შემთხვევაში);

დ) უმაღლესი იურიდიული განათლების (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ვ) სპეციალობით არანაკლებ 5 წლის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) თუ წარმდგენი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია - დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება, რომ კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში მისი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში;

თ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

ი) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ;

კ) ცნობა ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ;

ლ) სამოტივაციო წერილი, რომელიც, ამასთანავე, უნდა მოიცავდეს კანდიდატის ხედვას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მაქსიმუმ 3 გვერდი.